ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0121253362**
თარიღი: **10/09/2021**
პინი: **1479**

ადრესატი: ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი: 01011076175
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01212474-67
განცხადების თარიღი: 04/09/2021

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.10.06.002.065
- მისამართი :ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიმდებარედ

განმცხადებელი-დამკვეთი :ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი :01011076175
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01212533**
თარიღი: **10/09/2021**
პინი: **3022**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01212474-67
განცხადების თარიღი:	04/09/2021
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.10.06.002.065
მისამართი :	ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიმდებარედ
მესაკუთრეები :	შპს "ენსი გრუპი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი :	01011076175
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	თემურ მალანია
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალფუნქციური შენობა: საცხოვრებელი 75% / საოფისე,კომერციული,პოლიკლინიკა 25%
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	17243.17

მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ გასცეთ სპეციალური ზოხალური ხებართვა
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	წარმოდგენილი ქალაქთმშენებლობითი დასაბუთების (წინასაპროექტო კვლევა) დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14- დადგენილების მე-1 მუხლის პირველი, მე-2 და მე- პუნქტების ანალოგიით და შეთანხმების გაცემის მიზანშეწონილობის დასაბუთება, საარო და კერძო ინტერესების ვენებით (მოცემულ შემთხვევაში 50-100-150 მეტრიან რადიუსში ნაკვეთების ფართობის, სიმიდროვის, არსებული შენობების ფუნქციების გათვალისწინებით და სხვა მონაცემები). ვენს მიერ წარმოდგენილი დასაბუთების ალბომი დამუშავებულია ზემოხსენებული მე-1 მუხლის შესაბამისად დამკვეთის სურვილია: მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი 75% / საოფისე,კომერციული,პოლიკლინიკა 25%) ობიექტი. შერეული საპროექტო სახეობის - (მრავალფუნქციური შენობა: საცხოვრებელი 75% / საოფისე,კომერციული,პოლიკლინიკა 25%) ობიექტით განვითარების მიზნით, საიროა საგამონაკლისოდ დაშვებული სპეციალური ზონალური შეთანხმების მინიება, რომელიც რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14- დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს ეგრეთ წოდებული კოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის განკუთვნილ ობიექტს შესაბამისად ვითხოვთ წარმოდგენილ პროცენტულ გადანაწილებას ფუნქციების. დამკვეთის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს უსაფრთხოების ნორმების დაცვა, აქედან გამომდინარე ახალი საპროექტო ობიქტების გაბარიტული მავენებლები სრულად შეესაბამაბა 2016 წლის 28 იანვრის საქართველოს მთავრობის 41 დადგენილების მოთხოვნებს.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი 75% / საოფისე,კომერციული,პოლიკლინიკა 25%)
	N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საცხოვრბელ ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0,3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ. მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ. *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%

გადაწყვეტილების დასაბუთება :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მე-7 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, მათ შორის არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. მოთხოვნილია მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი 75%, საოფისე, კომერციული, პოლიკლინიკა 25%) განთავსების მიზნით სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების გაცემა. საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) ფუნქციები - მრავალბინიანი და პოლიკლინიკა წარმოადგენენ საგამონაკლისოდ დასაშვებ ფუნქციურ სახეობებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა . მათი N01212491444 06/09/2021 წერილის თანახმად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანება წარმოადგენს კოოპერატიულ ბინათმშენებლობას, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში სპეციალური (ზონალური) შეთანხმების წინაღმდეგი არ არის. მრავალბინიანი ფუნქციის შემცველი ობიექტებისთვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს განსხვავებულ სამშენებლო ნორმებს (კ1-0.5, კ-3-0.3), ვინაიდან ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობაა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (ეზო, ბავშვთა გასართობი სივრცე, სპორტული ინფრასტრუქტურა, თავშეყრის ადგილები და სხვ.) საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაიგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, მათი N61-0121251448 08.09.2021 წერილის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.540.582 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N191 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი გრუპისათვის“ (ს/კ: 405186365) – „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.002.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 8118 კვ. მ ფართობი მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი გრუპისათვის“ (ს/კ: 405186365) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.“ ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე კი 2021 წლის 15 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა - „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული, ჯამურად 8118 კვ.მ ფართობის, N01.10.06.002.064 და N01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ: N01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” - ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლეებმა, ზემოაღნიშნული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების მათთვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. საპროექტო მიწის ნაკვეთი მომიჯნავე ნაკვეთთან ერთად წარმოადგენდა ერთ საკადასტრო ერთეულს, რომელიც გაიმიჯნა სააგენტოს 2021 წლის 25 მაისის 16-0121145147 წერილით დაფიქსირებული დადებითი ქალაქგეგმარებითი პოზიციის საფუძველზე. საპროექტო მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთით ნაწილში ფიქსირდება მაღალი ძაბვის გადამცემი ანძა, შესაბამისად პროექტის შეთანხმების შესაბამის ეტაპზე საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან და მშენებლობა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39

დასკვნა :	დადგენილებით დამტკიცებულ წესებში და განაშენიანების რეგულირების წესებს დაემატა მე-16 პრიმა მუხლი - საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში (სსზ-1; სსზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საცხოვრებელი ფუნქციის განთავსებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აღნიშნული მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ,,ამ მუხლით დადგენილი რეგულირება არ ვრცელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებსა და იმ ობიექტებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პუნქტის ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობის ფარგლებში, მოთხოვნილი საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 75%-ს“ ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან ხელშეკრულება დაიდო „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილებით განხორციელებულ ცვლილებამდე და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა მოთხოვნილია შემდეგი პროცენტულობით : 75% საცხოვრებელი, 25% საზოგადოებრივი, საკითხზე მსჯელობა დასაშვებია ზემოხსენებული დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულების (მაკომპენსირებელი ღონისძიება) გარეშე. საპროექტო ტერიტორიის ფართობი და კონფიგურაცია იძლევა საშუალებას მასზე განთავსდეს სრულყოფილი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცე, სპორტული სივრცე, სარეკრეაციო სივრცე, თავშეყრის ადგილი და სხვ.). საკვლევი არეალის ფარგლებში ფიქსირდება საცხოვრებელი ფუნქციის შენობა-ნაგებობები, შესაბამისად წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მოთხოვნილი ფუნქციით სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში არ იცვლება ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი და სტრუქტურა. რაც შეეხება პოლიკლინიკას, მისი ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს სანიტარული, ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით (პოლიკლინიკის მომსახურება არ უნდა განხორციელდეს საცხოვრებელი კორპუსის ეზოდან, მიზანშეწონილია მოეწყოს დამოუკიდებელი შესასვლელი). ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ნაკვეთზე არსებულ ელექტრო გადამცემ ანძასთან შენობა-ნაგებობის განთავსების ნორმები. ზემოთქმულის გათვალისწინებით სააგენტოს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა შესაძლებლად მიაჩნია. გათვალისწინებულ იქნეს: "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-16 პრიმა მუხლის, მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება: მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ბრძანება:**ბ01.01212533**
თარიღი:**10/09/2021**
პინი:**4894**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.065) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01212474-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.065) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01212474-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

